



საგანმანათლებლო პროგრამა: ქართულად / ინგლისურად: სამოქალაქო ინჟინერია/ Civil Engineering

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

ფაკულტეტი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი: ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში / 0406

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი მეტმარიაშვილი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო წელიწადს, 8 სემესტრს. სემესტრი მოიცავს 20 კვირას, მათ შორის სასწავლო კვირების რაოდენობაა 14 კვირა. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ -ბრძანების შესაბამისად ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტს ესაჭიროება არა ნაკლებ 240 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების წლიური ჯამური რაოდენობა: ა) დასაშვებია აღემატებოდეს 60 ECTS კრედიტს, ბ) დასაშვებია იყოს 60 ECTS კრედიტზე ნაკლები, გ) არაა დაშვებული გადააჭარბოს 75 ECTS კრედიტს.



სტუდენტს ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობის (არანაკლებ 220 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 20 კრედიტი) კომბინირებით.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება 2 შუალედური გამოცდისა და დასკვნითი გამოცდისგან.

ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 2 შუალედურ გამოცდას, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობას განსაზღვრავს სასწავლო კურსის პედაგოგი სილაბუსის ფარგლებში.

შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაკლებ **40 %+1 =25 ქულა**.

ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 სთ-ს. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა, სემესტრის განმავლობაში ქვიზის, ტესტირების (პრაქტიკულის) და პრეზენტაციის (საკურსო პროექტის) საერთო შეფასება ტოლია, ან აღემატება 51 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების/ შეფასებების მინიმალური ზღვარი დაკმაყოფილებული აქვს. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია **40% =16 ქულა**.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს:

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს - **40 კრედიტი**;

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - **135 კრედიტი**;

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების - **30 კრედიტი**;

თავისუფალი სასწავლო კურსებს - **არანაკლებ 20 კრედიტი**, რომელსაც სტუდენტი აითვისებს უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებით.

პრაქტიკა - **10 კრედიტი**;

საკვალიფიკაციო პროექტი - **5 კრედიტი**;

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა-4(B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.

განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

* ინგლისური ენა (A1) 0-41 ქულა;



- * ინგლისური ენა (A2) 41-51 ქულა;
- * ინგლისური ენა-1 (B1.1) 52-61 ქულა;
- * ინგლისური ენა-2 (B1.2) 62-71 ქულა;
- * ინგლისური ენა-3 (B2.1) 72-81 ქულა;
- * ინგლისური ენა-4 (B2.2) 82-100 ქულა

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 20 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით 10 კრედიტს აგროვებს პროგრამის თავისუფალი/ასარჩევი საგნების კრედიტების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონეს - B2. სტუდენტი, რომელიც პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს (FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78) გათავისუფლდება ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან, ხოლო პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 20 კრედიტს დააგროვებს თავისუფალი/არჩევითი საგნების გავლით.

პროგრამის მიზანი:

- მოამზადოს სამოქალაქო ინჟინერიის საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, შეასწავლოს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, ჰიდროსაინჟინრო ნაგებობების, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, რკინიგზების, ხიდების, გვირაბების, გზების საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა;
- შეასწავლოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სამშენებლო-საპროექტო საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესრულების მეთოდები და მექანიზმები სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.
- შეასწავლოს სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების, ნაკეთობების სწორად შერჩევისა და გამოყენების ხერხები და მშენებლობის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის წესები;
- მოამზადოს სამშენებლო საქმისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის სპეციალისტი.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება - აქვს:

- სამოქალაქო ინჟინერიის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, პროცესების და პროექტირების ფუნდამენტური ცოდნა;
- ცოდნა სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადად წარმართვის პრინციპების შესახებ;



- სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული მართვის პრინციპების ცოდნა;
- სამშენებლო ნორმების და წესების, მშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების, საშენ მასალათა და ნაკეთობათა ფართო სპექტრის, მშენებლობის მემკვიდრეობითობისა და ტრადიციების ცოდნა;
- შესაბამისი მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა საინჟინრო პრობლემების გადასაჭრელად.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია:

- მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების (სარგებლიანობა, სიმტკიცე, მოხერხებულობა, საიმედოობა და გარეგნული იერსახე) დაცვით, მშენებლობაში მონაწილეობის მიღება;
- ბუნებრივი გარემოს მართვა საიმედო და მდგრადი მშენებლობისათვის;
- თანამედროვე (შენობა-ნაგებობების, ჰიდროტექნიკური, საგზაო ნაგებობების და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების) აგების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით კომფორტული საცხოვრებელი გარემოს, დაპროექტებასა და შენების პროცესში მონაწილეობა;
- შენობა-ნაგებობების, ჰიდროტექნიკური, საგზაო ნაგებობების და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტის შესაბამისად, თანამედროვე სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, კონსტრუქციების საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და წესების დაცვით შერჩევისა და გამოყენების უნარი;

3. დასკვნის უნარი - აქვს:

- სამოქალაქო ინჟინერიის დარგის ობიექტების (შენობა-ნაგებობების, ჰიდროტექნიკური, საგზაო ნაგებობების და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების) პროექტირებისას, მშენებლობისა და მათი ექსპლუატაციის დროს, მოსალოდნელი რისკ ფაქტორების და გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, სიტუაციების შედარების, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი.

4. კომუნიკაციის უნარი - აქვს:

- სამოქალაქო ინჟინერიის დარგზე, მოძიებული ინფორმაციის ან საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე;
- დარგის სპეციალისტებთან მკაფიოდ და დეტალურად სხვადასხვა თემებზე დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- სამშენებლო საქმეში, აზრებისა და შეხედულებების წერილობით ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების მოყვანის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი როგორც პროექტირებისას, ასევე მშენებლობის პროცესში.

5. სწავლის უნარი - აქვს:



- თვითგანვითარების მიმართულებების განსაზღვრის უნარი;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად შეფასების უნარი;
- გაუთვალისწინებელ ვითარებაში, პრიორიტეტების გათვალისწინებით, სწავლის მიმართულების მრავალმხრივად შეფასებისა და განსაზღვრის უნარი.

6. ღირებულებები

- დარგის მნიშვნელობიდან გამომდინარე შეგნებული აქვს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემის და საზოგადოების წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების მნიშვნელობა;
- აქვს სამოქალაქო ინჟინერიის დარგის საქმიანობის, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;
- აქვს ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედების უნარი;
- ითავსებს დარგის პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობას საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ასევე ესთეტიკურ ღირებულებებზე;
- ითავსებს ეკოლოგიური სისტემების პატივისცემისა და გარემოს დაცვის ვალდებულებებს;
- აქვს პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) პატივისცემის და დაცვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს.

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;

წიგნზე მუშაობის მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი - რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ;

ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი - ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.

პრაქტიკული მეთოდები - აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

დისკუსია/დებატები - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამადლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდეებს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.



როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას. და სხვა მეთოდები, რომლებიც სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“ აკადემიური მართვის დებულებით დადგენილი წესით:

„განათლების აკადემია“-ში სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება წარმოადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაკლებ **40 %+1 =25**

ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა, სემესტრის განმავლობაში ქვიზის, ტესტირების (პრაქტიკულის) და პრეზენტაციის (საკურსო პროექტის) საერთო შეფასება ტოლია, ან აღემატება 51 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების/ შეფასებების მინიმალური ზღვარი დაკმაყოფილებული აქვს.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია **40% =16 ქულა.**

დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს Fx მიღების შემთხვევაში: დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ სტუდენტს უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

კურსდამთავრებული დასაქმდება სამოქალაქო ინჟინერიას მიკუთვნებულ შენობებისა და ნაგებობების მშენებლობებზე: სამშენებლო საპროექტო-საკონსტრუქტორო ფირმებში, მერიების, მუნიციპალიტეტების და სამინისტროების სამშენებლო პროფილით მომუშავე სამსახურებში, სამშენებლო და დეველოპერულ ფირმებში, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობებზე, სამშენებლო საექსპერტო ბიუროებში, საშენი მასალების მომწოდებელ კარიერებზე და ნაკეთობების დამამზადებელ საწარმოებში, წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების წყლის გამწმენდ სადგურებში, ქალაქის მუნიციპალიტეტების კომუნალურ სამსახურებში, რკინიგზის, საავტომობილო გზების, გზებზე ინტეგრირებული ხიდების, წყლის მომარაგების სისტემების და შესაბამისი პროფილის საპროექტო ორგანიზაციებში, გაზმომარაგების სისტემების მშენებლობის სპეცილიზირებულ ფირმებში და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები/



მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

პროგრამა განხორციელდება შპს უმაღლესი სასწავლებლის “ნიუ უნივერსიტის“ ბაზაზე, რომელიც მოიცავს სასწავლო კორპუსს (თბილისი, ქსნის ქ. #35), თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებით, კომპიუტერული რესურს-ცენტრებით და სხვ.

უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, როგორცაა მერხი, დაფა, ვიდეო-პროექტორი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და სხვ.

ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აგრეთვე პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია on.line რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობა. მათ შორის EBSCOHost (<http://search.epnet.com>), Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>) ელექტრონული ბიბლიოთეკებით.